



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 10/45

2023 წლის 30 აგვისტო

ქალაქი ფოთი

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქის-ფოთის ცენტრალური პარკის“ ატრაქციონების ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 აპრილის №4/31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი1.

შეტანილ იქნას ცვლილება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქის-ფოთის ცენტრალური პარკის“ ატრაქციონების ტარიფების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 აპრილის №4/31 განკარგულებაში და განკარგულების სარეზოლუციო ნაწილის პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი 1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 178-ე მუხლის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ტყეზურავა

ა(ა)იპ „ქალაქის - ფოთის ცენტრალური პარკის“ ატრაქციონების ტარიფები			
რაოდენობა	დასახელება	დრო	ტარიფი ლარებში
1ც	საბავშვო ცხენები	4-5 წუთი	1.5 ლარი
1ც	სათვალთვალო ბორბალი	2.5-3 წუთი	1.5 ლარი
1ც	საბავშვო ავტოდრომი (ელექტრო მანქანა)	5 წუთი	2.0 ლარი
1ც	მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა	30 წუთი	2.5 ლარი

საკრებულოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ტყეშელაშვილი